

სიამონ ვაი

დვთის
მოდოლინი

სიმონ ვეი
ღვთის მოლოდინი

Simone Weil
ATTENTE DE DIEU

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-745-9

www.diogene.ge

სარჩევი

ჟან-მარი პერენის წინასიტყვაობა.....7

წერილები

1. ყოყმანი ნათლობის წინ 19
2. იგივე თემა 26
3. გამგზავრების თაობაზე..... 31
4. სულიერი ავტობიოგრაფია 34
5. მისი ინტელექტუალური მონოდება 54
6. უკანასკნელი ფიქრები..... 58

ტექსტები

- მოსაზრებები ღვთის სიყვარულის მოსაპოვებლად
სასკოლო სწავლების სწორად გამოყენების შესახებ..... 73
- ღვთის სიყვარული და უბედურება 83
- ღვთის იმპლიციტური სიყვარულის ფორმები..... 100
- „მამაო ჩვენოს“ შესახებ..... 167
- ნოეს სამი ვაჟი და ხმელთაშუაზღვისპირული
ცივილიზაციის ისტორია 177

დანართი

- წერილი ჟ.-მ. პერენს 193
- წერილი გუსტავ ტიბონს..... 196
- წერილი მორის შუმანს 198

ჟან-მარი პერენის წინასიტყვაობა

სათაურ „ღვთის მოლოდინით“ გაერთიანებული ტექსტები უმ-შვენიერესია მათ შორის, რაც სიმონ ვეიმ დამიტოვა; ყველა მათგანი 1942 წლის იანვრიდან ივნისამდე დაიწერა და მეტ-ნაკლებად უკავშირდება იმ წერილობით დიალოგს, რომელსაც წინა წლის ივნისიდან ვანარმოებდით ჭეშმარიტებას მიყურადებულნი – ის, ქრისტეს სწავლებით დაინტერესებული და მე, მოძღვარი ცამეტ-წლიანი გამოცდილებით.

1949 წელს დავთანხმდი ამ ტექსტებისა და განსაკუთრებით მიმონერის – ულამაზესი ნაწილის – გამოქვეყნებას მისი შინაგანი გამოცდილებისა და პიროვნების შესახებ შექმნილი ყველაზე საგულისხმო ფურცლების გასაზიარებლად; თუმცა ამ პუბლიკაციის უმთავრესი მიზეზი სხვებისთვის ამ დიალოგში ჩართვის საშუალების მიცემა გახლდათ, რის სურვილი სიმონმა ჩვენი მრავალრიცხოვანი შეხვედრისას ნათლად გამოხატა. ამაზე ხშირად ვსაუბრობდით, ამის მოწმე გახლავართ და სწორედ ამ მიზნით გადმომცა ეს ტექსტები და წინაქრისტიანული ინტუიციების შესახებ დაწერილი დოკუმენტები. გამოსამშვიდობებელ წერილში თავისი ფიქრები გამიზიარა: „მხოლოდ თქვენ შემოძლია შემოგვედროთ მათთვის ყურადღების დათმობა. ვისურვებდი, ის წყალობა, რომლითაც გამანებივრეთ, ჩემ ნაცვლად იმისკენ მიგემართათ, რასაც ჩემში ვატარებ და რაც, მინდა ვირწმუნო, ჩემზე გაცილებით უკეთესია“.

სათაურად „ღვთის მოლოდინი“ შევარჩიე, რადგან იგი სიმონს ეძვირფასებოდა; მასში ხედავდა სიფხიზლეს მსახურისა, ბატონის დაბრუნებას რომ ელოდება. სათაური გადმოგვცემს დაუსრულებლობის იდეასაც, რაც იმჟამინდელი სულიერი აღმოჩენების გამო სიმონს აწამებდა.

ეს მოკლე შესხენება მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ წინაშე არ არის ისე შექმნილი და გამოქვეყნებული ტექსტები, რომლებსაც ავტორისგან დამოუკიდებლად უნდა ეარსება. პირიქით, ეს ტექსტები, განსაკუთრებით წერილები, სიმონის შემადგენელი ნაწილია და მისი ძიების, განვითარებისა და დიალოგის გაუაზრებლად მათ ვაგებებს ვერ შევძლებთ.

სიმონ ვეი 1909 წლის 3 თებერვალს დაიბადა პარიზში. მას არანაირი რელიგიური განათლება არ მიუღია: „მშობლებმა და ძმამ სრულ აგნოსტიკოსად აღმზარდეს“, მწერდა იგი (წერ. 4). მისი ბავშვობის უმთავრესი თვისებები იყო უბედურთა მიმართ თანაგრძნობა და სიყვარული; დაახლოებით ხუთი წლისა გახლდათ, როდესაც 1914 წლის ომმა და ერთ-ერთი ჯარისკაცის მეურვეობამ გაჭირვება ახლოდან აჩვენა. შაქრის ერთი კვინტიც კი აღარ გაუსინჯავს და ითხოვდა, მისი წილი იმათთვის გაეგზავნათ, ვინც ფრონტზე იტანჯებოდა. მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებლის, ამ არაჩვეულებრივი თანაგრძნობის ბუნების გასაგებად უნდა გავისხენოთ მატერიალური კეთილდღეობა, გონებაგახსნილობა და მშობლების სიყვარული, რომლითაც გარემოცული გახლდათ.

გონების ნაადრევმა სიმწიფემ ხელი შეუწყო მის სასკოლო წარმატებებს. დამამთავრებელი, ფილოსოფიის კლასი დიურუის სახელობის ლიცეუმში გაიარა, სადაც ლე სენი¹ ასწავლიდა; ანრი IV-ის სახელობის ლიცეუმში ეკოლ ნორმალში მისაღები კონკურსი მოამზადა და

¹ რენე ლე სენი (René Le Senne, 1882 – 1954) – ფრანგი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი.

ალენის² გავლენის ქვეშ მოექცა. ცხრამეტი წლისამ ეკოლ ნორმალის კონკურსი გაიარა, ხოლო ოცდაორი წლის ასაკში აგრეგაცია³ მიიღო: 1928 – 1931.

უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას გამოკვეთილ ათვისტად გამოავლინა თავი; საკმარისად ანტირელიგიური იყო, რომ რამდენიმე თვით გაბუტვოდა ამხანაგს, რომელიც კათოლიკობის მიღებას აპირებდა. მასწავლებლობასა და ჰუმანიტარულ საქმიანობას სრული აგნოსტიციზმით უდგებოდა, ღვთის პრობლემაზე ჩაფიქრება არ სურდა, ხოლო საკუთარი ბედისწერის ამოცანის ამოხსნა არ ძალუძდა. სწორედ ამ დროს დაუკავშირდა „ლა რევოლუსიონ პროლეტარიენსა“ და პროფკავშირულ მოძრაობებს. მას შემდეგ ეს თანამშრომლობა არ შეუწყვეტია, თუმცა არც ერთ პარტიაში არ განევრიანებულა. ჩემთან არასოდეს უსაუბრია იმ მნიშვნელოვან ადამიანებზე, ვისთან თანამშრომლობა ან ვისი დახმარებაც მოუხდა, არც თავისი როლი უხსენებია. ჩემი პოზიცია კარგად იცოდა: მოძღვარი რამდენადაც ახლოს უნდა იყოს ადამიანის პროგრესთან, იმდენად შორს უნდა ეჭიროს თავი ნებისმიერი პოლიტიკური საკითხისგან. მისთვისაც უბედურთა სიყვარული იყო უმთავრესი. მისი ერთ-ერთი სოციალური თანამებრძოლი, ახალგაზრდა მუშა მეუბნებოდა: „არასოდეს ყოფილა პოლიტიკაში ჩართული“ და ამიტებდა: „ყველა მისნაირი რომ ყოფილიყო, უბედური აღარავინ იქნებოდა“. მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი სწორედ უბედურთა მიმართ თანაგრძნობა გახლდათ.

ლე პუის ლიცეუმი იყო მისი პირველი სამუშაო ადგილი; სწორედ აქ მისცა გასაქანი თავის საქმიანობას და სხვების გაჭირვებას რეალურად ეზიარა. უმუშევრობის დახმარების მიღების უფლების მოსაპოვებლად მუშებს უმძიმესი შრომა უწევდათ; ხედავდა, როგორ

² ალენი (Alain) – ფრანგი ფილოსოფოსისა და პუბლიცისტის, ემილ შარტიეს (Émile Chartier, 1868 – 1951) ფსევდონიმი.

³ აგრეგაცია – მასწავლებლების შესარჩევი კონკურსი საფრანგეთში.

ამტვრევდნენ ქვებს. მათ მსგავსად და მათთან ერთად მოინადინა წერაქვით მუშაობა. პრეფექტურაში ნაჰყვა რაღაც მოთხოვნების ნა-მოსაყენებლად. საარსებოდ მხოლოდ უმუშევრობის ყოველდღიური დახმარების შესაბამისი თანხით კმაყოფილდებოდა, თავისი შემოსავლის დანარჩენ ნაწილს კი სხვებს უზიარებდა. ფილოსოფიის ახალბედა მასწავლებლის კართან ჯამაგირის დღეს ახალი მეგობრების რიგი დგებოდა. მოგვიანებით თავისი დროის – იმ დროის, რომელსაც უსაყვარლესი წიგნების კითხვას აკლებდა – უდიდეს ნაწილსაც დელიკატურად მათ უთმობდა: ზოგიერთებს ბელოტს⁴ ეთამაშებოდა, სხვებთან კი მღეროდა, რათა ნამდვილად მათიანი გამხდარიყო.

თუმცა სიმონს ეს სრულიად არ აკმაყოფილებდა: მისთვის, ვიცაც ნამდვილად უყვარს, თანაგრძნობა სატანჯველია. 1934 წელს გადაწყვიტა, მთელი სისხვსით შეეგრძნო მუშათა საარსებო პირობები. ეზიარა შიმშილს, დაქანცულობას, უარყოფას, მექანიკური შრომის სიმძიმეს, უმუშევრობის შიშს. მისთვის ეს უბრალო „გამოცდილება“ კი არა, ნამდვილი და სრული ინკარნაცია იყო. ქარხნის დღიურები ამის შემზარავი დასტურია. განსაცდელი მის ძალებს აღემატებოდა; ამ უბედურების აღქმით გასრესილი სული სიცოცხლის ბოლომდე დალდასმული დარჩა.

როდესაც 1936 წელს ესპანეთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, სიმონი – რომელიც ნაირგვარ გაფიცვებში აქტიურად მონაწილეობდა (ყურნალ „ლა რევოლუსიონ პროლეტარიენის“ სტატიები) – უყოყმანოდ გაემგზავრა ბარსელონის ფრონტზე; თუმცა მოუქნელობის გამო (ზეთით დაიმღურა) ლამის მაშინვე დაექვემდებარა ევაკუაციას. თავისი ცხოვრების ამ მოვლენაზე თითქმის არ ლაპარაკობდა. მხოლოდ მაშინ ახსენებდა, თუ რომელიმე თანამებრძოლზე უწევდა მოყოლა.

1938 წელს სოლემში ვნების კვირას დაესწრო და რამდენიმე თვეში დიდმა გასხვივოსნებამ მისი ცხოვრება შეცვალა: „ქრის-

⁴ ბელოტი (ფრ. Belote) – ბანქოს თამაში.

ტე დაეშვა და დამეუფლა“. ძნელია ამ მოვლენის ზუსტი თარიღის დადგენა, რადგან საიდუმლოდ შეინახა; თავის ნაწერებში არსად ახსენებს და არც ერთ ახლობელს არ განდობია. გამონაკლისია ჟოე ბუსკესთვის⁵ გაგზავნილი წერილი მცირე მინიშნებით და ჩემთვის ნათქვამი თუ მონაწერი. აშკარაა, რომ თავისი ძიებისას განცდილ ყოყმანში, ფიქრების ქოჭმანში ეს საკითხი არასოდეს უხსენებია; ამ უცნობი გრძნობის გამოცდილებამ სრულიად ახლებურად დაანახვა სამყარო, მისი რელიგიური ტრადიციები და ლექსები, განსაკუთრებით კი უბედურთა მსახურება, რაშიც ძალისხმევა გააორმაგა.

მერე იყო ომი. პარიზი მას შემდეგ დატოვა, რაც დედაქალაქი ღია ქალაქად გამოცხადდა. სწორედ მაშინ ჩამოვიდა მარსელში. აქ მოუსწრო სამთავრობო გადაწყვეტილებამ ებრაელების შესახებ. ჩემ სანახავად 1941 წლის ივნისში მოვიდა. ერთ-ერთი პირველი შეხვედრისას სოფლის პროლეტარიატის შრომისა და პირობების გაზიარების სურვილი გამანდო. ადვილად მივხვდი, რომ ეს გაუაზრებელი იდეა კი არა, სიღრმისეული ნება გახლდათ; მაშინ ამ გეგმის განსახორციელებლად გუსტავ ტიბონს⁶ ვთხოვე დახმარება; ასე გაატარა სიმონმა რამდენიმე კვირა რონის ხეობაში, სადაც დიდი ჯაფა გასწია რთველში.

როგორ აღვწერო ეს თვეები მარსელში? მისი უკიდურესი თავდაჭერილობა და კდემამოსილება, რომლებსაც იდეებზე დისკუსიისას შეუვალი და მონოტონური ტონით ფარავდა, საკუთარ თავსა და საქმიანობაზე ლაპარაკს უშლიდა. თუმცა როგორ შეიძლებოდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო?

რაც შეეხება ლიტერატურულ საქმიანობას, „კაიე დიუ სიუდის“⁷ წრებთან იყო დაკავშირებული და ემილ ნოვისის (თავისი

⁵ ჟოე ბუსკე (Joë Bousquet, 1897 – 1950) – ფრანგი პოეტი.

⁶ გუსტავ ტიბონი (Gustave Thibon, 1903 – 2001) – ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი.

⁷ „კაიე დიუ სიუდი“ (*Les Cahiers du Sud*) – მარსელში დაფუძნებული ცნობილი ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც 1966 წლამდე გამოდიოდა.

სახელისა და გვარის ანაგრამა) ფსევდონიმით წერდა; რამდენიმე საგულისხმო სტატია გამოაქვეყნა: „ილიადა ანუ ძალის პოემა“, „ეპიკური პოემის პრიზმაში დანახული ცივილიზაციის აგონია“, „რა არის ოქსიტანური შთაგონება“, აღარაფერს ვამბობ რამდენიმე ლექსზე. მეტიც, თავისი დროის საუკეთესო ნაწილს უთმობდა პლატონის თარგმანებს, პითაგორასეულ ტექსტებს, რომლებიც დაიბეჭდა სათაურით „წინაქრისტიანული ინტუიციები“ და იმ ნარკვევებზე მუშაობდა, რომელთა ნაწილიც ამ წიგნში, „ღვთის მოლოდინში“, შევიდა. ამ ტექსტებს უახლოეს მეგობრებს უკითხავდა შეკრებებზე, სადაც საბერძნეთისა და განსაკუთრებით, დიდ მისტიკოსთა მიერ მიღწეული რეალობებისადმი თავის სიყვარულს უზიარებდა.

საგულისხმოა, რომ ამ დროს განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდა კარდინალ დე რეცის მემუარებსა და დ'ობინიეს პოემა „ტრაგიკულებს“.

ცხოვრებას მხოლოდ წერა-კითხვით როდი ივსებდა; მისი გონებისა და გულისხმიერების პატრონი უბედურთა ხვედრის მიმართ უყურადღებოდ ვერ დარჩებოდა; მათ ეძებდა, მათში ერეოდა, რომ უკეთ გაეცნო და დახმარებოდა. განსაკუთრებით დაინტერესდა სამშობლოში დაბრუნების მომლოდინე დემობილიზებული ვიეტნამელების ბედით; მათი მდგომარეობის უსამართლობის აღმოჩენის შემდეგ ისე მოხერხებულად იმოქმედა, რომ ბანაკის დირექტორი მოახსნევინა!

ადამიანების სიყვარულმა ერთ ვითარებაში სიცოცხლე გადაურჩინა: დე გოლის მომხრეობის გამო დაკავებულს, ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ ციხე ემუქრებოდა, სადაც „მას, ფილოსოფიის ხარისხის მქონეს, ქუჩის ქალებთან ერთად ჩასვამდნენ“. რაზეც სენსაციური პასუხი მიიღეს: „ყოველთვის მინდოდა ამ წრეში მოხვედრა და მათი გაცნობა. ციხეზე უკეთესი საშუალება ვერ წარმომიდგენია“. ამ სიტყვებზე მოსამართლემ სხდომის მდივანს ანიშნა, გაუშვით, გიჟიო!

ვინაიდან მის საიდუმლო საქმიანობას მივადექით, დავამატოთ, რომ სიმონი მონანილეობდა „ქრისტიანული დამონმების“⁸ გავრცელებაში; ამ მოძრაობას ამჯობინებდა დანარჩენებს; მოგვიანებით, როდესაც დიდი ბრიტანეთიდან საფრანგეთში გადმოგზავნის უფლებას ითხოვდა, ამ მოძრაობის ორგანიზატორებთან კავშირს იშველიებდა თავისი არგუმენტების გასამყარებლად. ამის თაობაზე მორის შუმანს⁹ სწერდა: „ვფიქრობ, ამჟამად საფრანგეთში ეს საუკეთესო რამ არის. ვიმედოვნებ, განსაცდელს ასცდებიან!“.

თუმცა მის უმთავრეს საფიქრალად რელიგიური საკითხი რჩებოდა: გამონვლილვით კითხულობდა სახარებას და მეგობრებთან ერთად განიხილავდა საკვირაო წირვაზე; ხშირად მნახულობდა და განმარტოების ძებნაში ზოგჯერ დილის წირვას ესწრებოდა შუა კვირაში. სწორედ ამ პერიოდში მომწერა: „ჩემი გული, ვიმედოვნებ, სამარადჟამოდ საკურთხეველზე გამოფენილ წმინდა საიდუმლოს ეკუთვნის!“. სიმონის სიტყვები ბევრს ამბობს იმ მიზიდულობაზე, რომლითაც ჩვენი ეკლესიების ცოცხალმა სიჩუმემ იმოქმედა მასზე!

მარსელში გატარებულმა კვირებმა და თვეებმა სწრაფად განვლო. 1942 წლის მარტში მონპელიეში მიმავლინეს, თუმცა მარსელში ხშირად ვბრუნდებოდი და მის გამგზავრებამდე რამდენჯერმე შევხვდი; ამ განშორებისას დაინერა მისი ულამაზესი წერილები. 1942 წლის 16 მაისს მშობლებთან ერთად გემით გაემგზავრა.

ნიუ-იორკში ჩასულმა მთელი ნაცნობ-მეგობრები ჩართო, რომ ლონდონში გაენვიათ; საფრანგეთიდან გამგზავრებას დეზერტირობასავით განიცდიდა და ასეთ მონოდებებს გზავნიდა: „გვედრებით, ლონდონში წამიყვანეთ, აქ დარდით სასიკვდილოდ არ გამწიროთ!“, „მოგწოდებთ, ამ მეტისმეტად მტკივნეული ზნეობრივი მდგომარეობიდან გამომიყვანოთ“, „გვედრებით, თუ შეგიძლიათ,

⁸ „ქრისტიანული დამონმება“ (*Témoignage chrétien*) – გამოცემა, რომელიც 1941-ში დაარსდა და ოკუპირებულ საფრანგეთში იატაკქვეშა იყო.

⁹ მორის შუმანი (Maurice Schumann, 1911 – 1998) – II მსოფლიო ომის გმირი ფრანგი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი და მწერალი.

სატანჯველისა და სასარგებლო საფრთხის საკმარისი რაოდენობით მომამარაგეთ, რაც დარდისგან უნაყოფოდ დაღვეისგან მიხსნის. ამჟამინდელ მდგომარეობაში ვერ ვიცოცხლებ. სრულიად უიმედოდ ვარ“ (მ. შუმანს).

თუმცა უპოვართა სიყვარული ოდნავადაც არ განელება. „ჰარლემს ვიკვლევ, – სწერდა ერთ-ერთ მეგობარს, – ყოველ კვირადღეს ჰარლემის ბაპტისტურ ეკლესიაში დავდივარ, სადაც ჩემ გარდა არც ერთი თეთრი არ არის“. შავკანიან ქალიშვილებს ესაუბრებოდა, სახლში ეპატიჟებოდა; იგივე მეგობარი, რომელიც კარგად იცნობდა, მეუბნებოდა: „სიმონი ნიუ-იორკში რომ დარჩენილიყო, რასაკვირველია, შავკანიანი გახდებოდა!“

მისი გული სამყაროს ეკუთვნოდა: „დედამინის ზედაპირზე გავრცელებული უბედურება თან მდევს და მთრგუნავს ისე, რომ უუნაროს მხდის. ამ აკვიატებას თავს ვერ ვაღწევ, თუ თავად არ ვარ საფრთხესა და სატანჯველში ჩაფლული. მხოლოდ ამ პირობებში შემიძლია მუშაობა“ (მ. შუმანს).

1942 წელს ლონდონში ჩასულს საშინლად გაუცრუვდა იმედი. ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: სახიფათო და რთული დავალების მიღება, თავის განირვა სხვების სიცოცხლის გადასარჩენად ან საბოტაჟის აქტის ჩადენისას. ამას ზეპირად და წერილობით მოითხოვდა: „მათხოვარივით მოურიდებელი და ურცხვი ვარ. არგუმენტების მოყვანის ნაცვლად, მათხოვარივით მხოლოდ ჩემს საჭიროებებზე ვყვირი...“. მის მოთხოვნაზე დათანხმება სახიფათო იყო. ამიტომ სააზროვნო საქმეებს ანდობდნენ. ამრიგად, საათობით, გვიანობამდე იჯდა თავის კაბინეტში, ხშირად უბრალო სენდვიჩს სჯერდებოდა და როცა მეტროს უკანასკნელ მატარებელზე აგვიანებდა, მაგიდაზე ან იატაკზე იძინებდა.

როდესაც დაჟინებით მოითხოვდა „დავალეზაზე“ გაგზავნას, აღნიშნავდა: „ჩემს აქაურ ძალისხმევას სამმაგი დარტყმა მოუღებს ბოლოს. პირველი – ზნეობრივი, რადგან ჩემს აზროვნებას მალე დააბრკოლებს განუხრელად მზარდი ტკივილი იმის გამო, რომ სა-

კუთარ ადგილს არ ვიკავებ. მეორე – გონებრივი, ცხადია, რომ კონკრეტულ საქმესთან შეჭიდებულს ფიქრები დამტოვებენ. მესამე – ფიზიკური, რადგან დაღლილობა მძლევს“.

საუბედუროდ, მისი მოლოდინი გამართლდა! აპრილში რეალობისთვის თვალის გასწორება და მიდლსექსის საავადმყოფოში მისი გადაყვანა გახდა საჭირო; უჭმელობისა და გადაქანცვისგან დასუსტებული ვერ მომჯობინდა. სოფელში გადასვლა ისურვა და ეშფორდის სანატორიუმში გადააყვანინა თავი, სადაც 1943 წლის 24 აგვისტოს მიიცვალა.

სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე დაწერილი ტექსტებიდან გამოსჭვივის, რომ მრავალ საკითხში ჯერაც ძალიან დაშორებული იყო კათოლიკური რწმენისგან და ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ სიკვდილი მიიყვანდა იმ ჭეშმარიტებად, რომელიც ასე ეშორებოდა. მუდამ ამახვილებდა ყურადღებას თავისთვის ბუნდოვან საკითხებზე და მოელოდა სინათლეს, თავისი სიცოცხლის წარმმართველ ხაზს, რაც მარსელში ცხოვრების თვეებში გააცნობიერა და რაც „ღვთის მოლოდინს“ უდევს საფუძვლად.

ჟ.-მ. პერენი

ნარილეზი

1. ყოყმანი ნათლოვის წინ

1942 წლის 19 იანვარი

ძვირფასო მამაო,

გადავწყვიტე, მოგწეროთ, რათა ჩემზე საუბრებს ბოლო მოვუღო, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც. საკუთარ თავზე მოყოლამ დამალა, რადგან უბადრუკი სასაუბრო თემა ვარ; მაგრამ ინტერესი, რომელიც სიკეთის გამო გამოიჩინეთ, მაიძულებს, დავუბრუნდე მას.

ამ დღეებში დავფიქრდი ღვთის ნებაზე, ამ ნების არსზე და მისადმი სრულ შესატყვისობაზე. მოგახსენებთ, რას ვფიქრობ ამაზე.

სამი სფერო უნდა გავმიჯნოთ. პირველი ჩვენზე საერთოდ არ არის დამოკიდებული; იგი მთელ სამყაროში ამნამს მომხდარ ფაქტებს მოიცავს, შემდეგ იმათ, რომლებიც ჩვენგან შორს ახლა მიმდინარეობს ან მოგვიანებით მოხდება. ამ სფეროში მიმდინარე მოვლენები, უგამონაკლისოდ, ღვთის ნებით ხდება. ასე რომ, ამ სფეროში ყველაფერი უნდა გიყვარდეს, მთლიანობაში და ნაწილ-ნაწილ, მათ შორის ბოროტების ყოველგვარი გამოვლინებაც საკუთარი წარსული ცოდვების ჩათვლით (და თან უნდა გეძულდეს, სანამ მათი ფესვი ჩვენში ჯერ კიდევ გადგმულია), საკუთარი წარსული, ახლანდელი და მომავალი სატანჯველი და – რაც ყველაზე ძნელია – სხვა ადამიანების სატანჯველი, ვინაიდან მოწოდებულნი

არ ვართ, ის შევამსუბუქეთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღვთის რეა-
ლურობა და არსებობა ყველა გარეგანი საგნისა და მოვლენის მეშ-
ვეობით ისე ცხადად უნდა შევიგრძნოთ, როგორც ხელი გრძნობს
ქალაქის სიმკვრივეს კალმის მეშვეობით.

მეორე სფეროს ნებელობა განკარგავს. იგი მოიცავს სრულიად
ბუნებრივ, ახლობელ, გონებისა და წარმოსახვის ძალით ადვილად
წარმოსადგენ საგნებსა თუ საკითხებს და კონკრეტული და საბო-
ლოო მიზნების მისაღწევად განსაზღვრული საშუალებებით მათი
შერჩევა, განლაგება და კომბინირება შეგვიძლია. ამ სფეროში ყვე-
ლაფერი, რაც აშკარა მოვალეობად გვესახება, მტკიცედ და შეუ-
ფერხებლად უნდა განხორციელდეს. როდესაც მოვალეობა ცხადად
არ ჩანს, ზოგჯერ უნდა დავაკვირდეთ და ასე თუ ისე თვითნებურად
შერჩეულ, თუმცა დადგენილ წესებს მივყვეთ; ზოგჯერ კი მიდრეკი-
ლებას მივდივით, თუმცა შეზღუდულად. ვინაიდან ცოდვის ერთ-ერ-
თი ყველაზე სახიფათო ან, შესაძლოა, ყველაზე სახიფათო ფორმა,
არსებითად, სასრულ სფეროში უსასრულობის განთავსებაა.

მესამე საგნებისა და საკითხების სფეროა, რომლებიც არც
ნებელობის გავლენაშია მოქცეული, არც ბუნებრივ მოვალეობებ-
თან დაკავშირებული, თუმცა ჩვენგან ბოლომდე დამოუკიდებელი
მანინც არ არის. ამ სფეროში ღმერთი გვზღუდავს იმ პირობით,
რომ ვიმსახურებდეთ ამ შეზღუდვას და ზუსტად იმ დოზით მოქ-
მედებს ჩვენზე, როგორითაც ვიმსახურებთ. ღმერთი აჯილდოებს
მასზე ყურადღებითა და სიყვარულით მოფიქრალ სულს და აჯილ-
დოებს ამ ყურადღებისა და სიყვარულის მათემატიკურად პროპორ-
ციული მკაცრი შეზღუდვით. უნდა დავნებდეთ ამ ბიძგს, ზუსტად
იმ წერტილამდე მივირბინოთ, რომელთანაც მივყავართ და აღარც
ერთი ნაბიჯი არ გადავდგათ, თუნდაც სიკეთისკენ. ამავედროულად,
ღმერთზე ფიქრი კიდევ უფრო მეტი სიყვარულითა და ყურადღებით
უნდა გავაგრძელოთ და ამგვარად მოვიპოვოთ მეტი წინსვლის სა-
შუალება, გავხდეთ სულის მუდმივად მზარდ ნაწილს დაუფლებული
შეზღუდვის საგანი. როდესაც შეზღუდვა მთელ სულს დაეუფლება,